

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30.05.1998, გვ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“გ) მეზღვაურის წიგნაკისა და ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემისათვის;”

2. მე-4 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მეზღვაურის წიგნაკისა და ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 35 ლარია.“

3. მე-5 მუხლის მე-3, მე-4 ექ მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნას.

4. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“გ) მეზღვაურის წიგნაკისა და ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემისათვის– შესაბამისი განცხადების შეტანისას;”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი